საბანაკებო სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ. საბანაკებო სიტუაციების მართვის სააგენტო

ქ. თბილისის საბანაკებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო

ES 3 18 00035987

პასუხი: AR1603317 განაცხადის განხილვა.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახური III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო
განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი, მიმდინარე წლის 30 მაისის N60-0118162158 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი 11.06.18 N33632) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი სპეციალისტის მიერ განხილული იქნა ქ. თბილისში, ლევან ღოღობერიძის ქ. N67,,ბ''-ში (ს.კ 01.18.13.034.027) მარცვლეულის შესანახი საწყობის სამშენებლო პროექტის არქიტექტურული ნაწილის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 და ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

განხილვის შედაგად დადგინდა, რომ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიება, კერძოდ:

საწარმოს ტერიტორიაზე მოსაწყობია ორი (სახანძრო-სამაშველოდანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები) ჰიდრანტი (იხ SP 108.13130.2012-ის 9.13 პუნქტი), ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე 9.12 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად.

სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების ან/და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად საწარმოს ტერიტორიაზე გასათვალისწინებელი ხანძარსაწინააღმდეგო გარე წყალმომარაგების სისტემების საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სააგენტოში განსახილველად მშენებლობის წარმოების სტადიების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის
მთავარი სამმართველოს უფროსი **ანდრე ქუჯაიძე**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური / სსიპ
საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო / ქ.
თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი
სამმართველო
მთავარი სამმართველოს უფროსი
ანდრე ქუჯაიძე

